2014 წლის 8 ივლისის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.36). სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი, სხდომის მდივანი

ვლადიმერ კიკნაძე- წევრი

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 18:30

დღის წესრიგი :

1. **აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული დასკვნის კორექტირებული ვერსიის გაცნობა.**

სხდომას ესწრებოდა ადვოკატთა ასოციაციის ბუღალტერი გელა არსენაშვილი და აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელი ჯუმბერ ბოხაშვილი.

წევრებმა გადახედეს წარმოდგენილ დასკვნას და განაცხადეს, რომ ვინაიდან, გასულ სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები ასახულია დასკვნაში, მათ დამატებითი შეკითხვები არ აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, წევრებმა მიიღეს

<u>დადგენილება:</u> აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ იქნას “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული დასკვნა სათანადო სახით, რომელიც გადაეცემა აღმასრულებელ საბჭოს.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე- ლიანა მასიკაშვილი

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი- ვლადიმერ კიკნაძე